დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

2024 წლის 04 მარტს 12⁰⁰საათი **ქ. დმანისი წმ. ნინოს ქუჩა №41**

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: პაატა ყულიაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი: თეონა პაპიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები

სხდომის დღის წესრიგი:

1.გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა;

2.გენდერული საბჭოს შემადგენლობის ცვლილება;

3. 3-8 მარტს დაგეგმილი ღონისძიებები;

1. მოისმინეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და სთხოვა საბჭოს წევრს თინათინ ციხელაშვილს წარედგინა საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

მომხსენებელი: თინათინ ციხელაშვილმა ისაუბრა საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროგრამისა და დმანისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საკრებულოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე გადმოგზავნილი იქნა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, ძირითადად გენდერული საბჭოს საზედამხედველო ფუნქციების გაზრდის მიმართულებით, ასევე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისა და დაინტერესებული მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა საბჭოს სხვადასხვა აქტივობების განხორციელების მიზნით.

აზრი გამოთქვეს: პ. ყულიაშვილმა, ნ. ონანაშვილმა, ნ. ოქრუაშვილმა, თ. ჭელიძემ.

2. მომხსენებელი: პაატა ყულიაშვილმა ისაუბრა საბჭოს შემადგენლობის ცვლილების თაობაზე, რაც განხორციელდება უახლოეს მომავალში, დამტკიცებული იქნება საბჭო განახლებული შემადგენლობით.

აზრი გამთქვეს: საბჭოს წევრმა მ. აბრამიშვილმა გამოთქვა საბჭოს შემადგენლობიდან გასვლის სურვილი.

3. მომხსენებელი: ს.ასლამაზაშვილმა ისაუბრა სამოქმედო გეგმით დაგეგმილ მარტის თვის ღონისძიებებზე.

სხდომაზე განხილული იქნა 3 მარტის, დედის დღესთან დაკავშირებით ინიციატივა მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი მრავალშვილიანი დედის (მათ შორის სამი ტყუპი), შორენა ოქრიაშვილისათვის ახალშობილებისათვის საკვები პრუდუქტების შეძენის მიზნით, 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლიდან (გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი) გამოყოფილი იქნას თანხა 1500 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ი. მაჭარაშვილმა, პ.ყულიაშვილმა.

გადაწყვიტეს: განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესაბამისად შეხვედრები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: პაატა ყულიაშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი: თეონა პაპიაშვილი